ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**g-63. 63243045**
თარიღი:**30/10/2024**

ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობების, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52Ა–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია"–სთვის გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე–16 მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების, 54–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ"–ქვეპუნქტის ,,დ.დ"–ქვეპუნქტის, 122–ე მუხლის პირველი, მე–2 და მე–5 პუნქტების შესაბამისად, განიხილა ,,ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობების, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033) და ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52Ა–ში მდებარე, არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა–ნაგებობის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია"–სთვის გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედიას" (საიდენტიფიკაციო კოდი–438735727) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება:

ა) ქალაქ სამტრედიაში, რუსთაველის ქ. №95–ში მდებარე 34693 მ^2 არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა–ნაგებობები, (№1, განაშენიანების ფართი 1172 მ^2; №2, განაშენიანების ფართი 95 მ^2; №3, განაშენიანების ფართი 99 მ^2; №4, განაშენიანების ფართი 13 მ^2; №5, განაშენიანების ფართი 16 მ^2.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.033.

ბ) ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქ. №52Ა–ში მდებარე 5930 მ^2 არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა–ნაგებობა, (№1, განაშენიანების

ფართი 1068 $მ^2$.), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.57.034.

2. პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონება, ს.ს. ,,საფეხბურთო კლუბი სამტრედია''-ს მიერ გამოყენებულ უნდა იქნას მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის.

3. პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების სარგებლობის ვადად განისაზღვროს

2 (ორი) წელი.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი